თუ შენი პარტნიორი სექს-ბიზნესში არის ჩართული

ეს იმას ნიშნავს, რომ მას ბევრი სქესობრივი პარტნიორი ჰყავს. ის კლიენტებთან ყოველთვის იყენებს პრეზერვატივს, მაგრამ ისეც ხდება ხოლმე, რომ პრეზერვატივი იხევა და . . .

დრომ თქვენს შორის კარგი ურთიერთობა მოიტანა, უკვე გარკვეული გრძნობებიც გაკავშირებთ და, შესაბამისად, თქვენ ენდობით ერთმანეთს - ***ეს კარგია!***
ნდობის ნიშნად უარს ამბობთ პრეზერვატივის გამოყენებაზე - ***ეს კარგი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ:***

- თქვენ ერთმანეთის ერთგულები ხართ ან პრეზერვატივის გარეშე სქესობრივი კავშირი არ გაქვთ სხვა პარტნიორებთან;
- შენ და შენი პარტნიორი ორივე შემოწმებულები ხართ დაავადებებზე და ჯანმრთელები ხართ

გადახედე შენს სიტუაციას, ყველაფერი ისეა, როგორც ზემოთ ჩამოვთვალე?

თუ თქვენი ურთიერთობა ასეთი არ არის, მაშინ:

შენ გაქვს მაღალი რისკი, რომ დაინფიცირდე სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებით.

იცი, რომლებია ეს ინფექციები?
ასეთი ინფექციები თუ დაგემართა და ექიმს არ მიმართავ, ამას გართულებები მოჰყვება. გართულებები

- სიფილისი (ათაშანგი)
- გონორეა (ტრიპერი)
- ტრიქომონიაზი
- ქლამიდიოზი
- შიდსი
- და მრავალი სხვა

კი ბევრია. დამეთანხმები ალბათ, რომ მათგან ყველაზე არასასიამოვნოა იმპოტენცია და უშვილობა.

თუ შენი პარტნიორი სექს-ბიზნესში არის ჩართული

გინდა, რომ თავი დაიცვა ასეთი ინფექციებისაგან?

პირველ რიგში გაითვალისწინე ყველაფერი ის, რაც ზემოთ ჩამოგითვალე (ის ლურჯად არის მონიშნული)

ნუ გეგონება, რომ თუ პარტნიორებს ხშირად გამოიცვლი და ერთთან დიდხანს არ დარჩები, მაშინ არაფერი დაგემართება. ეს ასე არ არის! ***უფრო მეტიც, პირიქით,*** როდესაც ხშირად იცვლი პარტნიორებს, დაავადების რისკი უფრო მაღალია.

არ იფიქრო, რომ თუ უპრეზერვატივოდ გაქვთ ურთიერთობა, ამით შენ და შენი პარტნიორი ერთმანეთს ნდობას აჩვენებთ.

ხშირად ხდება ისე, რომ ურთიერთობის დასაწყისში პრეზერვატივს იყენებ, შემდეგ კი, როდესაც პარტნიორს კარგად გაიცნობ და უკვე ენდობი — აღარ იყენებ პრეზერვატივს?

შენ უკვე იცი, როგორ უნდა მოიქცე.

პრეზერვატივის გამოყენება მუდმივ პარტნიორთან ნიშნავს მასზე და საკუთარ თავზე ზრუნვას!

პატივისცემით,

ცენტრი "თანადგომა"

კონსულტაციებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ:
საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური
ცენტრი „თანადგომა“

თბილისი: ა. ქურდიანის №21, ☎251819
ბათუმი: ვ. გორგასალის №113, ☎74213
ქუთაისი: ოცხელის №2, ☎65026